

JEHOVAH'S WITNESSES

OFFICE OF PUBLIC INFORMATION

პრეს-რელიზი
29 თებერვალი, 2000
(English)

თბილისის სასამართლო იცავს რელიგიურ თავისუფლებას საქართველოში.

დღეს ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლომ მხარი დაუჭირა რელიგიურ თავისუფლებას საქართველოში, იეჰოვას მოწმეთა აკრძალვის შესახებ განცხადებაზე უარის თქმით. საექსპერტო ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნა, რომელსაც მიმართა სასამართლომ, აცხადებს: იეჰოვას მოწმეთა ლიტერატურაში «არავითარი "ანტი" ხასიათის მონოდებანი არ არის» და მოუწოდებს რელიგიური შემწყნარებლობისკენ საქართველოში.

მოსარჩელე გურამ შარაძე და მისი პოლიტიკური პარტია, "საქართველო უპირველეს ყოვლისა", შეეცადნენ, დაერწმუნებინათ სასამართლო, რომ იეჰოვას მოწმეები უნდა აიკრძალონ და შეჩერდეს მათი ლიტერატურის იმპორტირება, რადგან, როგორც მოსარჩელე აცხადებს, იგი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლურია.

ნოემბერში, სასამართლომ მოისმინა 9 მოწმის ჩვენება. მაგრამ სხდომა გადაიდო, რათა საექსპერტო ჯგუფისთვის, იეჰოვას მოწმეთა ლიტერატურის ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა. დასკვნაში, რომელიც თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრამ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა გააკეთა, განცხადებულია, რომ იეჰოვას მოწმეთა მრწამსი არ ეხება არც საქართველოს საელმწიფოს და არც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

« ეს ორგანიზაცია ქრისტიანობის მოძღვრების ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა; იგი ემყარება ბიბლიის თავისებურ გაგებას, რომელიც არ ეხება არც საქართველოს სახელმწიფოებრიობას და არც ქართულ ერს, - განცხადებულია დასკვნაში. - პრინციპები ...ანტიმართლმადიდებლური არ არიან.»

საექსპერტო ჯგუფი აცხადებს, რომ თავდასხმა იეჰოვას მოწმეთა რელიგიურ მრწამსზე, წარმოადგენს თავდასხმას ყველას თავისუფლებაზე. "ბიბლიის ინტერპრეტაციათა [ვარიანტები] ... იქნება დიალოგის, კამათისა და დავის საგანი, მაგრამ კამათი და დავა არ უნდა გადაიზარდოს აკრძალვასა და შეურაცყოფაში." დასკვნა ასევე იძლევა გაფრთხილებას, რომ რელიგიური თავისუფლების აკრძალვა, ისევე "დიქტატურისკენ" დაგვაბრუნებს.

"გადანყვეტილება სასარგებლოა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და არა მხოლოდ იეჰოვას მოწმეთათვის", ამბობს საქმეზე დამცველი ადვოკატი, მამუკა

ჭაბაშვილი. - რელიგიური თავისუფლება ეკუთვნის ყველას და არა მხოლოდ მათ, ვინც რელიგიურ უმრავლესობას მიეკუთვნება."

ჭაბაშვილი აცხადებს, რომ, იმედოვნებს, სასამართლოს შეუწყნრებლობა რელიგიური ფანატიზმის მიმართ, იქნება გაფრთხილება გლდანელი ექსტრემისტებისთვის, რომლებიც უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე, თავს ესხმიან იეჰოვას მოწმეებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს, და არც ერთი მათგანის წინააღმდეგ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, დაგმო 1999 წლის 19 ოქტომბრის, იეჰოვას მოწმეთა დარბევა და აღნიშნა, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება.

იეჰოვას მოწმეები, ოფიციალურად აღიარებული არიან მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის მთელს ევროპაში. მათ ჰყავთ 14 მილიონი მიმდევარი და თითქმის 36,000 საქართველოში.

კონტაქტები საქართველოში:
ტელეფონი +995 (32) 76-23-59; ფაქსი +995 (32) 76-95-98

www.jw-media.org